CRRC-საქართველო

ანტიდასავლური რიტორიკა „ფეისბუქში“

2025 წლის 1 ივნისიდან 28 ნოემბრამდე პერიოდში

დეკემბერი, 2025

ანგარიში

ანტიდასავლური რიტორიკა „ფეისბუქში“

2025 წლის 1 ივნისიდან 28 ნოემბრამდე პერიოდში

2025

ავტორები: მარიამ კობალაძე, უფროსი მკვლევარი,

სალომე დოლიძე, მკვლევარი

CRRC–საქართველო

1 ლიზიკო ქავთარაძის ქ. თბილისი, 0179, საქართველო

https://www.crrc.ge

crrc.georgia@crrccenters.org

ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში, რომელიც CRRC–საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

მასში გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობა CRRC–საქართველოს კვლევის შედეგებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) პოზიციას.

სარჩევი

დიაგრამების ჩამონათვალი iii

მოკლე შეჯამება 1

შესავალი 2

კონტექსტი 2

ძირითადი ნარატივები 5

ძირითადი ნარატივები აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორიისთვის 10

ძირითადი ნარატივები სომხურენოვანი აუდიტორიისთვის 12

ძირითადი აქტორები 15

აზერბაიჯანულენოვან პოსტებში წარმოჩენილი აქტორები 19

სომხურენოვან პოსტებში წარმოჩენილი აქტორები 20

ძირითადი გამავრცელებლები (პოსტის ავტორები და გამზიარებლები) 22

ძირითადი გამავრცელებლები აზერბაიჯანულენოვან პოსტებში 24

ძირითადი გამავრცელებლები სომხურენოვან პოსტებში 24

ანტიდასავლური რიტორიკის ბუნება 25

დასკვნა 28

დანართი 1: მეთოდოლოგია 30

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდში (პოსტების რაოდენობა) 7

დიაგრამა 2: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე პერიოდში (პოსტების რაოდენობა) 8

დიაგრამა 3: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 4 ოქტომბრიდან 29 ნოემბრამდე პერიოდში (პოსტების რაოდენობა) 9

დიაგრამა 4: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდში აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში (პოსტების რაოდენობა)..... 11

დიაგრამა 5: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 სექტემბრიდან 28 ნოემბრამდე პერიოდში აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში (პოსტების რაოდენობა)..... 12

დიაგრამა 6: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 სექტემბრიდან 28 ნოემბრამდე პერიოდში აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში (პოსტების რაოდენობა)..... 13

დიაგრამა 7: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 სექტემბრიდან 29 ნოემბრამდე პერიოდში სომხურენოვან სეგმენტში (პოსტების რაოდენობა)..... 14

დიაგრამა 8: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით 2025 წლის 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდი (პოსტების რაოდენობა, სრული მონაცემები)..... 16

დიაგრამა 9: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდი (პოსტების რაოდენობა, მხოლოდ ქართულენოვანი სეგმენტი, აჭარის გარდა)..... 18

დიაგრამა 10: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდი (პოსტების რაოდენობა, აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტი)..... 19

დიაგრამა 11: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდი (პოსტების რაოდენობა, სომხურენოვანი სეგმენტი) 20

დიაგრამა 12: პოსტის ავტორი / გამავრცელებელი, სრული მონაცემები, 1 ივნისი – 28 ნოემბერი, 2025 (%)..... 23

დიაგრამა 13: არის თუ არა პოსტში აშკარად ყალბი ინფორმაცია? (%)..... 26

მოკლე შეჯამება

ეს ანგარიში წარმოადგენს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით" ნაწილს და მოიცავს 2025 წლის 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდს. ეს ამ კვლევის მეორე ანგარიშია. სრული მონიტორინგი მოიცავს ერთწლიან პერიოდს 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის ნოემბრამდე. მონიტორინგი განხორციელდა 16 საჯარო „ფეისბუქ" გვერდსა და ჯგუფზე, რომლებიც მიმართულია ქართულენოვან, სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან აუდიტორიაზე. საერთო ჯამში, სიღრმისეულად გაანალიზდა 1,756 პოსტი.

ანტიდასავლური ნარატივები სისტემატურად ვრცელდებოდა და მჭიდროდ უკავშირდებოდა შიდა პოლიტიკურ პროცესებს, მათ შორის პროევროპული საპროტესტო მოძრაობის საქმიანობას, ოპოზიციის ლიდერებისა და ორგანიზაციების დისკრედიტაციას. მეორე მხრივ, შერჩეულ გვერდებსა და ჯგუფებში გავრცელებული ნარატივები ხელისუფლებას ეროვნული სუვერენიტეტის დამცველად წარმოაჩენდა, ხოლო დასავლეთს — არასანდო რეგიონულ მოთამაშედ.

ქართულენოვან პოსტებში ყველაზე ხშირად ახსენებდნენ პროევროპულ საპროტესტო აქციებსა და მათ მონაწილეებს, ოპოზიციას და მათ მხარდამჭერებს, რომლებსაც წარმოაჩენდნენ კრიმინალებად, დესტაბილიზაციის წყაროდ ან უცხოეთის გავლენის აგენტებად. მთავარი ავტორები და გამავრცელებლები იყვნენ პროსახელისუფლებო მედია, ხელისუფლების ღიად თუ არაპირდაპირ მხარდამჭერი გვერდები და ჯგუფები, მათი „ადმინები", მმართველი პარტიის წარმომადგენლები და ხშირად უცნობი და ზოგჯერ არაიდენტიფიცირებადი ინდივიდუალური პროფილები.

გაანალიზებულ პოსტებში აშკარად ყალბი ინფორმაცია იშვიათი იყო, თუმცა, ხშირი იყო ფაქტების, მოვლენებისა და განცხადებების სუბიექტური ინტერპრეტაცია, კონტექსტის შეცვლა ან გამოტოვება, ემოციური იარლიყების მიწებება, სატირა და ვიზუალური მანიპულაციები. ვიდეო მასალების ნაწილი ოპოზიციური ლიდერების წინააღმდეგ იყო მიმართული და საზოგადოებრივი აღქმის შეცვლას ემსახურებოდა.

აზერბაიჯანულენოვან პოსტებში ანტიდასავლური გზავნილები ძირითადად ინფორმაციულ ფორმატში ვრცელდებოდა ოფიციალური განცხადებების სახით. ამ პოსტებში განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობებს. სომხურენოვან აუდიტორიაზე პოსტები ძირითადად პროსახელისუფლებო ნარატივებს ატარებდა, თუმცა, ნაჩვენები იყო რუსული გავლენის ელემენტებიც, სადაც დასავლეთი დესტაბილიზაციის წყაროდ, ხოლო რუსეთი სუვერენიტეტის დამცველად იყო წარმოჩენილი. მონიტორინგის შედეგები მიანიშნებს, რომ ანტიდასავლური შინაარსის გვერდებზე სხვადასხვა ნარატივის გავრცელება მიზანმიმართულია, ემსახურება პროევროპული პროტესტისა და ოპოზიციური აქტივიზმის დისკრედიტაციას და მჭიდროდაა დაკავშირებული ხელისუფლების პოლიტიკურ დღის წესრიგთან.

შესავალი

შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით" ფარგლებში CRRC-საქართველომ ჩაატარა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის" მონიტორინგი. მონიტორინგის მიზანი იყო:

- „ფეისბუქში" გავრცელებული ძირითადი ანტიდასავლური ნარატივების იდენტიფიცირება,
- იმაზე დაკვირვება, თუ ვისზე ან რაზე საუბრობენ ამ ნარატივებში ყველაზე ხშირად,
- ვინ ავრცელებს ამ ნარატივებს და
- როგორია ანტიდასავლური ნარატივების შემცველ პოსტებში ინფორმაციით მანიპულაციის ტექნიკები.

მონიტორინგი სწავლობდა 16 „ფეისბუქ" გვერდსა და ჯგუფს, რომელთა ნაწილი ფოკუსირებული იყო აჭარის რეგიონზე, ასევე, ქვეყნის სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაზე.[1]

მონიტორინგი მოიცავდა ერთწლიან პერიოდს 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე. საწყისი მომენტი იყო პრემიერმინისტრის ის განცხადება, რომელიც საზოგადოების დიდმა ნაწილმა საქართველოს ევროინტეგრაციის შეჩერებად აღიქვა და რასაც მასობრივი საპროტესტო ტალღა მოჰყვა.

მოცემული ანგარიში მოიცავს 2025 წლის 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდს და ეფუძნება 1,756 სიღრმისეულად გაანალიზებულ პოსტს.[2] ამ პერიოდის მონაცემები თავმოყრილია ვებგვერდზე dash.crrc.ge, სადაც შესაძლებელია ანტიდასავლური პოსტების დინამიკის, ძირითადი ნარატივების, თემებისა და აქტორების შესახებ მონაცემების გაანალიზება.

კონტექსტი

2025 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით, საქართველოში ყოველდღიურად იმართებოდა პროევროპული საპროტესტო აქციები. ეს მოძრაობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მმართველმა პარტიამ 2024 წლის ბოლოს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეაჩერა. მიუხედავად იმისა, რომ აქციის მონაწილეთა რაოდენობა დროდადრო იცვლებოდა, ათასობით ქართველი რეგულარულად გამოდიოდა თბილისსა თუ სხვა ქალაქებში თავისუფალი არჩევნების, პოლიტპატიმრების გათავისუფლებისა და ევროპულ გზაზე დაბრუნების მოთხოვნით. 2025 წლის 28 ნოემბერს დემონსტრანტებმა უწყვეტი პროტესტის ერთი წლისთავი აღნიშნეს, რომლითაც ხაზი გაუსვეს მთავრობის წინააღმდეგ საზოგადოებრივი მობილიზაციის სიმტკიცეს.

[1] გვერდების/ჯგუფების ჩამონათვალი იხილეთ მეთოდოლოგიის დეტალურ აღწერაში, დანართში.

[2] კვლევის მეთოდოლოგია დეტალურად აღწერილია დანართში.

2025 წლის ზაფხულიდან მოყოლებული ნოემბრის ბოლომდე პერიოდში ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო საკანონმდებლო ინსტრუმენტების გამოყენება პროტესტის წინააღმდეგ. 2025 წლის 1-ელი ივნისიდან „უცხოური გავლენის აგენტების შესახებ“ კანონმდებლობის ძალაში შესვლით სამოქალაქო სექტორი და ონლაინ მედია დიდი სირთულეების წინაშე დადგა. ზაფხულის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მათი საქმიანობისა და ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის გადაცემა მოსთხოვეს. შემდეგ კი გამოძიება დაიწყეს საბოტაჟის მუხლით და 27 აგვისტოს შვიდი ორგანიზაციის ანგარიშები დააყადაღეს.

პარალელურად, პარლამენტმა მიიღო ცვლილებები ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსებში, რომლითაც, ფაქტობრივად, კრიმინალიზდა მშვიდობიანი პროტესტის სტანდარტული ფორმები. გზის გადაკეტვა, სახის ნიღბით დაფარვა, დროებითი კონსტრუქციების აშენება და სხვ. მკაცრ სანქციებს, გახანგრძლივებულ ადმინისტრაციულ პატიმრობასა და, განმეორების შემთხვევაში, სისხლის სამართლის წესით თავისუფლების აღკვეთას დაექვემდებარა.

სასამართლო და საპარლამენტო მექანიზმები პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღადაც იქცა. წინასაარჩევნო პერიოდში „წულუკიანის საპარლამენტო კომისიაზე“ არგამოცხადების საბაბით, ოპოზიციის ლიდერებს, მათ შორის ზურაბ ჯაფარიძეს, გიორგი ვაშაძეს, ნიკა მელიას, მამუკა ხაზარაძეს, ბადრი ჯაფარიძესა და სხვებს, 7-დან 8 თვემდე პატიმრობა შეეფარდათ. რეპრესიული პოლიტიკა მედიის წარმომადგენლებსაც შეეხო: აგვისტოში ჟურნალისტსა და მედია მენეჯერს, მზია ამაღლობელს, პოლიციელისთვის სილის გაწვნის გამო ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, რაც საერთაშორისო აქტორების მიერ კრიტიკული მედიის გაჩუმების პრეცედენტად და პოლიტიკური დევნის მაგალითად შეფასდა.

სახელმწიფომ რეპრესიული აპარატი ათობით სამოქალაქო აქტივისტისა და დემონსტრანტის წინააღმდეგაც აამოქმედა. მართლმსაჯულების სისტემა ხშირად ახდენდა საპროტესტო ქმედებების გადაკვალიფიცირებას ძალადობრივ დანაშაულებად, რასაც არაპროპორციულად მკაცრი განაჩენები მოჰყვა. მაგ. აქტივისტებს – გიორგი მინდაძეს, საბა ჯიქიასა და ანრი კვარაცხელიას – 4.5-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, რამდენიმეწლიანი პატიმრობა შეეფარდათ ე.წ. „სინდისის სხვა პატიმრებსაც“.

2025 წლის 4 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნები ამ რეპრესიულ გარემოში ჩატარდა. მასობრივი დაპატიმრებებისა და უთანასწორო საარჩევნო პირობების გამო, მსხვილმა ოპოზიციურმა პარტიებმა პროცესს ბოიკოტი გამოუცხადეს. შედეგად, მმართველმა პარტიამ ხმების 80.7% მოიპოვა და ადგილობრივ დონეზე ძალაუფლების სრული მონოპოლიზება მოახდინა. არჩევნების პარალელურად გაიმართა მასშტაბური საპროტესტო აქცია პაატა ბურჭულაძისა და მურთაზ ზოდელავას ორგანიზებით, რომლის დროსაც პრეზიდენტის რეზიდენციაში შეჭრის მცდელობა დაფიქსირდა. სამართალდამცველებმა აქცია სპეც. საშუალებებით დაშალეს და ადგილზევე დააკავეს საორგანიზაციო კომიტეტის წევრები და ათობით მონაწილე. ხოლო დეკემბერში, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისა და აქციის ორგანიზების ბრალდებით, პატიმრობა შეეფარდა ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიასაც.

აღნიშნული მოვლენების ფონზე, საქართველოს ურთიერთობა დასავლელ პარტნიორებთან კრიტიკულ ზღვრამდე მივიდა. 2025 წლის 4 ნოემბრის გაფართოების ანგარიშში ევროკომისიამ ცალსახად დააფიქსირა საქართველოს გადახრა ევროინტეგრაციის კურსიდან და მიუთითა „დემოკრატიული ინსტიტუტების მიტაცების“ ფაქტებზე. მიუხედავად ევროპული სტრუქტურების მოწოდებისა, შეწყვეტილიყო პოლიტიკური დევნა და გაეთავისუფლებინათ პატიმრები, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო კრიტიკა სუვერენიტეტში ჩარევად შეაფასა და იზოლაციონიზმის პოლიტიკა განაგრძო.

მთლიანობაში, 2025 წლის ივნისიდან ნოემბრამდე პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი განისაზღვრებოდა მასობრივი პროევროპული მობილიზაციით, სისტემური სამართლებრივი თუ არასამართლებრივი რეპრესიებით, ოპოზიციის ლიდერებისა და „სინდისის პატიმრების“ დაპატიმრებით, საპროტესტო კანონმდებლობის შეზღუდვით, სადავო არჩევნებითა და ევროპულ ინსტიტუტებთან მზარდი დაძაბულობით, რამაც ქვეყანაში ხანგრძლივი პოლიტიკური არასტაბილურობისა და დემოკრატიული უკუსვლის გარემო შექმნა.

რაც შეეხება საერთაშორისო ვითარებას, 2025 წლის ივნისიდან ნოემბრამდე პერიოდი რამდენიმე კონკრეტულმა, ერთმანეთთან დაკავშირებულმა მოვლენამ განსაზღვრა: რუსეთ–უკრაინის ომი გადამწყვეტი ცვლილებების გარეშე გაჭიანურდა. მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის მცდელობები იყო, მათ შორის რუსეთისა და აშშ–ს პრეზიდენტების შეხვედრა ალასკაზე, შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. წლის ბოლოსკენ აშშ–მ და ევროკავშირმა, სანქციებისა და სამხედრო დახმარების პარალელურად, მხარი დაუჭირეს სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებას. ივნისში ნატოს ჰაგის სამიტმა მოკავშირეებს თავდაცვის ხარჯების გაზრდა და უსაფრთხოების გრძელვადიანი დაგეგმვა დაავალა. ამასთანავე, ევროკავშირმა გააღრმავა კოორდინაცია თავდაცვის კუთხით და გააფართოვა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ზომები და შეიმუშავა უკრაინის გრძელვადიანი ეკონომიკური მხარდაჭერის გეგმა. ოქტომბერ–ნოემბერში აშშ–ის მთავრობის მუშაობის შეჩერებამ (ე.წ. „შათდაუნმა“) შეაფერხა შიდა მმართველობის პროცესი და გაართულა საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე ფოკუსირება. ამავდროულად, მკვეთრად გამწვავდა დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში მას შემდეგ, რაც ისრაელმა ირანზე იერიში მიიტანა, რასაც ირანის საპასუხო ქმედება მოჰყვა.

გარდა ამისა, 2025 წლის აგვისტოში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას, რაც მრავალწლიანი კონფლიქტის შემდეგ ურთიერთობების ნორმალიზაციის მიმართულებით გადადგმულ ისტორიულ ნაბიჯად შეფასდა. შეთანხმება მოიცავს რეგიონული კომუნიკაციების აღდგენასაც, მათ შორის ზანგეზურის სატრანსპორტო კორიდორის გახსნას, რომელიც აზერბაიჯანს დააკავშირებს ნახიჩევანთან სომხეთის ტერიტორიის გავლით. აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად ცვლის რეგიონული ტრანსპორტისა და ვაჭრობის არქიტექტურას და ზრდის სამხრეთ კავკასიის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას.

მთლიანობაში, ეს პერიოდი საერთაშორისო არენაზე ხასიათდებოდა არა კონფლიქტების მოგვარებით, არამედ ერთდროულად მიმდინარე კრიზისებით, ინტენსიური დიპლომატიითა და ხანგრძლივი გლობალური არასტაბილურობისთვის ნიადაგის მომზადებით.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირია: იგი წარმოადგენს მონიტორინგის ძირითად შედეგებს, სადაც ყურადღება გამახვილებულია ძირითად ნარატივებზე, იმ აქტორებზე, ვისზეც პოსტებში ყველაზე ხშირადაა საუბარი, ანტიდასავლური რიტორიკის ძირითად გამავრცელებლებზე და იმ ტექნიკებზე, რასაც მოცემული გვერდები/ჯგუფები ინფორმაციის გავრცელებისას იყენებენ. თითოეულ თავში ცალკეა გამოყოფილი შედეგები სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტისთვის. კვლევის მეთოდოლოგიის დეტალური მიმოხილვა აღწერილია დანართში.

მოცემული ანგარიში მოიცავს 2025 წლის ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდს. ნარატივებისა და კომუნიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე ცალკე გამოყოფილია ზაფხულის თვეები, როცა გააქტიურდა სინდისის პატიმრების სასამართლო პროცესები, ოპოზიციონერი პოლიტიკოსების დაკავება და გამოხატვის თავისუფლების მხრივ გამკაცრებული კანონმდებლობის აღსრულება; და შემოდგომის თვეები: წინასაარჩევნო პერიოდი, არჩევნების დღე, 4 ოქტომბრის აქცია და მისი შემდგომი პერიოდი ნოემბრის ბოლომდე.

ძირითადი ნარატივები

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ 2025 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ანტიდასავლური და პროსახელისუფლებო დისკურსი „ფეისბუქში“ მკვეთრად იყო მორგებული შიდა პოლიტიკურ პროცესებსა და საარჩევნო კალენდარს. ზაფხულში დომინირებდა ოპოზიციის დისკრედიტაცია. მონიტორინგისთვის შერჩეულ გვერდებსა და ჯგუფებში იგი წარმოჩენილი იყო როგორც ვახლეჩილი, სასაცილო და არაეფექტიანი ძალა, ხოლო პროდასავლური პროტესტი — როგორც მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი და კომიკური მოძრაობა. პარალელურად, შედარებით ზომიერი ინტენსივობით ვრცელდებოდა გზავნილები „ქართული ოცნების“ სტაბილურობისა და გარდაუვალი გამარჯვების შესახებ. შემოდგომაზე, წინასაარჩევნოდ, აქცენტი ხელისუფლების ლეგიტიმაციის გამყარებაზე, სოციალურ-ეკონომიკური მიღწევებისა და მშვიდობის პოლიტიკის ხაზგასმაზე გადავიდა, ხოლო 4 ოქტომბრის საპროტესტო აქციის შემდეგ კვლავ გააქტიურდა პროტესტის კრიმინალიზებისა და „გარე ძალების“ ჩარევის ნარატივები.

ეთნიკური უმცირესობების სეგმენტებში დისკურსი განსხვავებული ფორმით, თუმცა მსგავსი შინაარსობრივი მიზნებით ვითარდებოდა: აზერბაიჯანულენოვან აუდიტორიაში მეტი ადგილი ეკავა ინფორმაციულ და რეგიონულ თანამშრომლობაზე ორიენტირებულ კონტენტს, თუმცა, კრიზისულ მომენტებში აქაც აქტიურდებოდა პროტესტის დისკრედიტაცია; სომხურენოვან სივრცეში კი მკაფიოდ იკვეთებოდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის, ანტიდასავლური და ნაწილობრივ პრორუსული ნარატივების სისტემური გავრცელება. მთლიანობაში, დისკურსი ემსახურებოდა ოპოზიციის დელეგიტიმაციას, დასავლეთისადმი უნდობლობის გაღრმავებას და ხელისუფლების როგორც სტაბილურობის, მშვიდობისა და სუვერენიტეტის გარანტის პოზიციონირებას.

მონიტორინგის მონაცემები აჩვენებს, რომ ძირითადი ნარატივები სეზონურად იცვლება და მჭიდროდ უკავშირდება საარჩევნო კალენდარსა და შიდა პოლიტიკურ მოვლენებს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა განსხვავება ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდებს შორის, როგორც თემატურად, ისე ტონალობისა და გამოყენებული კომუნიკაციური სტრატეგიების კუთხით.

2025 წლის ზაფხულის პერიოდში, როცა უკვე ამოქმედდა ახალი კანონები და საკანონმდებლო ცვლილებები, აქტიურად მიმდინარეობდა სინდისის პატიმრების სასამართლოები და ბევრის, მათ შორის ოპოზიციის ლიდერების განაჩენიც გამოცხადდა, კვლევისთვის შერჩეულ „ფეისბუქ" გვერდებსა და ჯგუფებზე ყველაზე აქტუალური თემა შიდა პოლიტიკა და პოლიტიკური პარტიები იყო. ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზე კონცენტრირება უკანა პლანზე სწევდა მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს – უკრაინის ომს, ისრაელისა და ირანის დაპირისპირებას და ა.შ.

შიდა პოლიტიკური დღის წესრიგის დომინაციას ადასტურებს ყველაზე ხშირი ნარატივიც, რომ ოპოზიცია სასაცილო და არაადეკვატურია (97 პოსტი). ოპოზიციას უკავშირდება კიდევ ერთი ნარატივი, რაც, სრული მონაცემების მიხედვით, ზაფხულის პერიოდში შვიდ ყველაზე გავრცელებულ ნარატივს შორისაა: ოპოზიცია გახლეჩილია / ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს უპირისპირდებიან (26 პოსტი). საშინაო პოლიტიკაზე აქცენტის გაკეთება ზაფხულის პერიოდში ასევე თვალსაჩინოა შიდა პოლიტიკური დღის წესრიგის დომინაცია. გლობალური მოვლენები, მათ შორის უკრაინის ომი და სხვა საერთაშორისო კონფლიქტები, უკანა პლანზეა გადაწეული. მთავარი აქცენტი კეთდება ოპოზიციის შიდა წინააღმდეგობებზე და ოპოზიციური მედიისა თუ ექსპერტების დაკნინებაზე.

მეორე ყველაზე ხშირი თემა, რაც მონიტორინგის მიმდინარეობისას ყოველთვის აქტუალური იყო, პროდასავლური პროტესტია. ზაფხულში შერჩეული გვერდები და ჯგუფები აქტიურად ცდილობდნენ იმ აზრის გავრცელებას, რომ პროტესტს ხალხის ფართო მხარდაჭერა არ აქვს (33 პოსტი), აქციის მონაწილეები უსუსურები/სასაცილოები არიან (30 პოსტი) და პროტესტის მონაწილეები/ოპოზიცია მოძალადეები, კრიმინალები, დასასჯელები არიან (24 პოსტი) (იხ. დიაგრამა 1).

თუმცა, საინტერესოა, რომ თუკი უწყვეტი პროტესტის დაწყების პირველ თვეებში მონიტორინგისთვის შერჩეული „ფეისბუქ" გვერდები და ჯგუფები პროტესტის ძალადობრივ ხასიათზე აკეთებდნენ აქცენტს და პროტესტის მონაწილეებს კრიმინალებად წარმოაჩენდნენ და ერთად მოიაზრებდნენ პროტესტის მონაწილეებსა და ოპოზიციას, ზაფხულის თვეებში ნარატივები მათ წარმოაჩენდა არა როგორც პოლიტიკურ საფრთხეს, არამედ როგორც სასაცილო, დაქსაქსულ და არაეფექტიან ძალას. ასევე, როგორც სუსტ, კომიკურ და საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ აქტორებს, და ხშირად ამკობდა შემდეგი ტერმინებით: „უსამშობლო", „უნიათო", „ფარჩაკი", „აკაცუკები", „ჩამოუყალიბებლები".

დიაგრამა 1: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდში (პოსტების რაოდენობა)



საინტერესოა, რომ ოპოზიციისა და პროტესტის მონაწილეების უარყოფით ჭრილში წარმოჩენის პარალელურად, მონიტორინგისთვის შერჩეული „ფეისბუქ“ გვერდები და ჯგუფები შედარებით ნაკლები ინტენსივობით, თუმცა, მაინც ავითარებდნენ ხელისუფლების მიმართ დადებითი განწყობის განმამტკიცებელ ხაზსაც. შვიდ ყველაზე ხშირ ნარატივს შორის იყო მოსაზრება, რომ „ქართული ოცნება“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს მოიგებს. ამ ჭრილში საუბარი იყო იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობის დიდი რაოდენობა უჭერს მხარს და არჩევნებში რეალური კონკურენტი არ ჰყავს. ასევე, რომ „ქართული ოცნება“ ქვეყანაში მშვიდობისა და განვითარების გარანტია.

შემოდგომის პერიოდში ნარატივები მკაფიოდ კონცენტრირდა არჩევნებსა და ხელისუფლების ლეგიტიმაციის გამყარებაზე. 4 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე პერიოდში (1 სექტემბერი–3 ოქტომბერი) ყველაზე ხშირი ნარატივი ისევ ოპოზიციის კომიკურობასა და არაადეკვატურობას უსვამდა ხაზს (იხ. დიაგრამა 2), თუმცა, წინ იყო წამოწეული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ნარატივები: „ქართული ოცნება“ ზრუნავს განათლების სფეროსა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მოიგებს არჩევნებს და ქართველი ხალხის უმრავლესობა მხარს უჭერს მას. უშუალოდ წინასაარჩევნო პერიოდში წამყვანი გახდა გზავნილი, რომ „ქართული ოცნება“ სუვერენული, სტაბილური და მშვიდობის გარანტი ძალაა, რომელმაც ქვეყანა ომს აარიდა და საზოგადოების მხარდაჭერა კვლავ მოიპოვა.

დიაგრამა 2: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე პერიოდში (პოსტების რაოდენობა)



საინტერესოა, რომ აჭარის რეგიონის სეგმენტში, სადაც იმის გამო, რომ საკუთრივ ანტი–დასავლური ნარატივების გამავრცელებელი გვერდი/ჯგუფი ვერ მოვძებნეთ, შერჩეული იყო ჯგუფი „ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი ჯგუფი აჭარაში“ და გვერდი „გაზეთი აჭარა“, რომელთა წინასაარჩევნო პერიოდის (1 სექტემბერი–3 ოქტომბერი) ნარატივები „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ქებას ეძღვნებოდა და ნაკლებად იყო კონცენტრირებული დედაქალაქში მიმდინარე მოვლენებზე. შვიდი ყველაზე ხშირი ნარატივი ამ სეგმენტში იყო:

- „ქართული ოცნება“ ზრუნავს განათლების სფეროს განვითარებაზე
- „ქართული ოცნება“ ზრუნავს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე
- „ქართული ოცნება“ მხარს უჭერს სპორტის/კულტურის წარმომადგენლების განვითარებას
- საქართველოს მთავრობა მშვიდობის პოლიტიკას ატარებს
- ცესკო ზრუნავს არჩევნების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობაზე
- მთავრობა ზრუნავს რეგიონების განვითარებაზე
- სტიქიური მოვლენების დროს მთავრობა მაქსიმუმს აკეთებს მოსახლეობის დასახმარებლად.

4 ოქტომბერს არჩევნების პარალელურად, რომლის დროსაც მსხვილი ოპოზიციური პარტიების ლიდერები ციხეში ისხდნენ და რასაც ოპოზიციის და ამომრჩევლის ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა, მასშტაბური საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის დროს პროტესტის მონაწილეთა ნაწილმა პრეზიდენტის სასახლეში შეჭრა სცადა. ამასთან დაკავშირებით მონიტორინგისთვის შერჩეულ „ფეისბუქ“ ჯგუფებსა და გვერდებზე ოქტომბრის თვეში ისევ გააქტიურდა ნარატივები, რომ პროტესტი მშვიდობიანი არ არის (იხ. დიაგრამა 3), პროტესტის მონაწილეები და ოპოზიცია მოძალადეები და კრიმინალები არიან, რომ მათ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა და მაიდნის

მოწყობა უნდათ. ამასთან, კვლავ აქტუალური გახდა საუბრები იმაზე, რომ მოვლენების უკან უცხო ძალები და დასავლეთი დგანან.

დიაგრამა 3: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 4 ოქტომბრიდან 29 ნოემბრამდე პერიოდში (პოსტების რაოდენობა)



გაგრძელდა ოპოზიციის დისკრედიტაცია, რის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხაზს წარმოადგენდა ნარატივი, რომლის მიხედვითაც ოპოზიციური ლიდერების დაკავებები არ იყო იმდენად პოლიტიკურ დევნა, რამდენადაც თავად ოპოზიციის შეგნებული სტრატეგია დასავლეთის მხრიდან ხელისუფლებაზე ზეწოლის გაზრდის მიზნით. აღნიშნულ ნარატივს პასუხისმგებლობა სრულად ოპოზიციაზე გადაჰქონდა და ამავდროულად ამართლებდა ან ნეიტრალურად წარმოაჩენდა სახელმწიფოს მხრიდან ძალის გამოყენებას.

ოპოზიცია და კრიტიკული ჯგუფები წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც დასავლეთის „დაკვეთების“ შემსრულებლები. პრეზიდენტ ზურაბიშვილის „მართვა“ აშშ–ის ელჩის მიერ, საერთაშორისო დამკვირვებლების „რევოლუციურ“ ზრახვებში დადანაშაულება და ხელისუფლების კრიტიკის „ომში ჩართვის სურვილად“ მონათვლა ემსახურებოდა „მეხუთე კოლონის“ ხატის შექმნას. ამ ლოგიკით, ნებისმიერი შიდა უკმაყოფილება გარდაიქმნებოდა გარედან ინსპირირებულ თავდასხმად სუვერენიტეტზე, ხოლო ოპონენტებთან ბრძოლა – სამშობლოს დაცვად.

4 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გააქტიურდა ნარატივი, რომ „ხალხმა კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი ხელისუფლებას“ (26 პოსტი), რასაც თან ახლდა ემოციური, პერსონალიზებული პოსტები ხელისუფლების ლიდერებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ მხარდაჭერის გამოხატვით. ამავე დროს, ოპოზიცია წარმოდგენილი იყო როგორც დამარცხებული, არაკოორდინირებული და პასუხისმგებლობისგან გაქცეული ძალა.

მონიტორინგის პერიოდში აშკარად შეინიშნებოდა გლობალური საკითხების, მათ შორის უკრაინის ომისა და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების, მარგინალიზაცია. აღნიშნული თემები იშვიათად ჩნდებოდა და ძირითადად დაცინვის

ან ცინიკური შეფასების კონტექსტში იყო წარმოდგენილი. გამონაკლისს წარმოადგენდა დასავლელი დიპლომატების კრიტიკა, განსაკუთრებით გერმანიის ელჩის საწინააღმდეგო პოსტები, რომლებიც ოპოზიციასთან კავშირისა და საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის ბრალდებებით იყო სავსე.

ძირითადი ნარატივები აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორიისთვის

„ფეისბუქში“ ანტიდასავლური ნარატივების შესწავლისას ცალკე გამოყოფილი იყო საქართველოს აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის სეგმენტი. თუმცა, დასაკვირვებელი გვერდებისა და ჯგუფების შერჩევისთანავე გამოიკვეთა ერთი თავისებურება: აზერბაიჯანულ ენაზე ვერ მოვიძიეთ საჯარო „ფეისბუქ“ ჯგუფი და/ან გვერდი, რომელიც ღიად ანტიდასავლური შინაარსის პოსტებით გამოირჩეოდა. შესაბამისად, შევარჩიეთ ერთი გვერდი და ერთი ჯგუფი, რომელიც პოპულარული იყო აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში. ორივე ახალი ამბების თემატიკისაა, ამიტომაც ამ სეგმენტში საკმაოდ განსხვავდებოდა პოსტების შინაარსიც, ნარატივებიც და როგორც ტექსტების, ასევე ვიზუალური მასალის სტილი – იგი ნაკლებად მანიპულაციური იყო.

შერჩეული მედია საშუალებების „ფეისბუქ“ გვერდი/ჯგუფი 2025 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე აშუქებდა ოპოზიციის ლიდერების დაკავებას, სასამართლო პროცესებს, არჩევნებსა და პროტესტს, როგორც მნიშვნელოვან მიმდინარე მოვლენებს. ეს გვერდი/ჯგუფი, როგორც წესი, გადმოსცემდა ახალი ამბის შემადგენელი პირების პოზიციებს და ერიდებოდა შეფასებებს.

ზაფხულის პერიოდში აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში ყველაზე ხშირ ნარატივებს შორის იყო როგორც წმინდად ინფორმაციული ნარატივები, მაგალითად, რომ ოპოზიციის ერთ–ერთი ლიდერი დააკავეს, ან რომ ოპოზიცია და პროტესტის მონაწილეები 2024 წლის არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ, ასევე, პროსახელისუფლებო ნარატივიც, რომ „ქართული ოცნება“ თვითმმართველობის არჩევნებს მოიგებს, ანტიდასავლური ნარატივიც, რომ ევროკავშირი და დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას აშანტაჟებს, და პროდასავლური ნარატივიც, რომ ევროკავშირი ქართველ ხალხს ევროპული მომავლისთვის ბრძოლაში მხარს უჭერს (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდში აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში (პოსტების რაოდენობა)



ევროკავშირის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და უვიზო რეჟიმის საკითხი ერთ–ერთი ცენტრალური ნარატივი იყო და ყველაზე მეტი პოსტიც სწორედ უვიზო რეჟიმის დაკარგვის საფრთხეს მიეძღვნა.

შემოდგომის სეზონზე კი, განსაკუთრებით 4 ოქტომბრის შემდეგ, აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში ყველაზე ხშირი ნარატივი პროტესტის დისკრედიტაციას დაუბრუნდა: პროტესტის მონაწილეები/ოპოზიცია მოძალადეები და კრიმინალები არიან (იხ. დიაგრამა 5) და პროტესტი მშვიდობიანი არ არის. ამ საკითხების გაშუქებისას პოსტებში აისახებოდა ხელისუფლების რიტორიკა, რომლის მიხედვითაც პროტესტი და ოპოზიცია დესტაბილიზაციის წყაროდ იყვნენ წარმოდგენილნი.

დიაგრამა 5: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 სექტემბრიდან 28 ნოემბრამდე პერიოდში აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში (პოსტების რაოდენობა)



შერჩეულ გვერდსა და ჯგუფში პოზიტიურად შუქდებოდა საქართველო–აზერბაიჯანისა და საქართველო–თურქეთის თანამშრომლობა, რაც წარმოდგენილი იყო როგორც რეგიონული კავშირების გაძლიერებისა და სტაბილური განვითარების მაგალითი. ეს ნარატივი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორიისთვის, ვინაიდან აღნიშნული ქვეყნები მათთვის კულტურულად და სოციალურ–ეკონომიკურად ახლოს მდგომ აქტორებად აღიქმება.

ძირითადი ნარატივები სომხურენოვანი აუდიტორიისთვის

რაც შეეხება საქართველოს სომხურენოვანი მოსახლეობის სეგმენტს, ამ შემთხვევაში დაკვირვების ქვეშ ორი გვერდია: „ფარვანა ტვ“ და „ჯავახური დიასპორა რუსეთში“. „ფარვანა ტვ“ არის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული ტელევიზია, რომელიც აქტიურად ავრცელებს მმართველი პარტიის პროპაგანდისტულ გზავნილებს. „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ კი მრავალი წელია ემსახურება რუსულ პროპაგანდას და ღიად ავრცელებს ანტიდასავლურ გზავნილებს. ეს ორი გვერდი ერთმანეთთან თანხვედრაში მყოფ, თუმცა, ინტენსივობითა და რადიკალურობით განსხვავებულ პროსახელისუფლებო, პრორუსულ და ანტიდასავლურ ნარატივებს ავრცელებდნენ. ორივე გვერდის შინაარსი ემსახურებოდა მმართველი პარტიის პოლიტიკის ლეგიტიმაციას, დასავლეთის მიმართ უნდობლობის გაღრმავებას და ალტერნატიული საგარეო პოლიტიკური კურსის ნორმალიზაციას.

2025 წლის ზაფხულის პერიოდში სომხურენოვანი აუდიტორიისთვის განკუთვნილი პოსტების თემატიკა გარკვეულწილად განსხვავებული იყო ქართულ და აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორიისგან. პოსტების თემები

ძირითადად ეხებოდა საქართველოს შიდა პოლიტიკასა და პოლიტიკურ პარტიებს, უკრაინის ომსა და საქართველოს ურთიერთობას სომხეთთან. სხვა სეგმენტებისგან ძირითადი ნარატივებიც განსხვავდებოდა. ყველაზე ხშირად გავრცელებული ნარატივი აცხადებდა, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს (იხ. დიაგრამა 6), რომ მთავრობაში მიმდინარე საკადრო ცვლილებები საერთაშორისო ზეწოლას არ უკავშირდება და რომ ყველაფრის მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკა ვითარდება.

დიაგრამა 6: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 სექტემბრიდან 28 ნოემბრამდე პერიოდში აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში (პოსტების რაოდენობა)



საერთო ჯამში, შერჩეულ „ფეისბუქ“ გვერდსა და ჯგუფში რამდენიმე ძირითადი ნარატიული ხაზი ვითარდებოდა: ერთის მხრივ, ხელისუფლების ლეგიტიმაციის განმტკიცება, სტაბილურობასა და ეკონომიკურ განვითარებაზე ხაზგასმა, რაც მოიცავდა ისეთ საკითხებზე წერას, როგორიცაა: რეგიონული და ინფრასტრუქტურული პროექტები, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა. ამ შინაარსით იქმნებოდა განცდა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ზრუნავს როგორც რეგიონების, ისე სოფლის განვითარების საკითხებზე და ახორციელებს გრძელვადიან სოციალურ–ეკონომიკურ პოლიტიკას. მკაფიოდ იკვეთებოდა ნარატივი, რომლის მიხედვითაც მოქმედი ხელისუფლება არის ეროვნული ინტერესების დამცველი და მშვიდობის მთავარი გარანტი. მაგალითად, „ფარვანა ტვ“–ის კონტენტში ხაზგასმული იყო: ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობა ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნაში; ერეკლე მეორის ძეგლის გახსნა, როგორც პატრიოტიზმისა და ეროვნული იდენტობის სიმბოლო; და მშვიდობის პოლიტიკის შენარჩუნება, მიუხედავად „გარე ზეწოლისა“.

2008 წლის აგვისტოს ომი ერთმნიშვნელოვნად მიეწერებოდა მაშინდელ ხელისუფლებას და დასავლეთის გავლენას, ხოლო „ქართული ოცნების“ პირობებში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოდგენილი იყო როგორც შესაძლებელი მხოლოდ მშვიდობიანი გზით. „ფარვანა ტვ“–ის გვერდზე აქტიურად ვრცელდებოდა პოსტები,

რომლებიც ამტკიცებდა, რომ „ქართული ოცნება“ გააააქტიურა დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლაში, მათ შორის საკუთარ რიგებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს, რაც ანტიკორუფციული პოლიტიკის მტკიცებულებად იყო წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. საუბარი იყო იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვება გარდაუვალია, ოპოზიცია გახლეჩილი და არათანმიმდევრულია და ოპოზიცია და მათი მხარდამჭერი დასავლელი აქტორები პატივს არ სცემენ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. „ფარვანა ტვ“–ის პოსტები ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ საქართველოში ჩვეულებრივი წინასაარჩევნო გარემოა, ხოლო ეუთო/ოდირის დაკვირვების მოთხოვნა უსაფუძვლოა. პარალელურად, პროევროპული პროტესტები წარმოჩენილი იყო როგორც ძალადობრივი, კანონდამრღვევი და ექსტრემისტული, რასაც დასავლელი დიპლომატები ახალისებდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდში (1 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე) ამ გვერდებზეც გაჩნდა ნარატივი იმის შესახებ, რომ პროტესტის მონაწილეები და ოპოზიცია მოძალადეები და კრიმინალები არიან. თუმცა, უფრო პროსახელისუფლებო კამპანიის შესაბამისი ნარატივები ვრცელდებოდა, რომ „ქართული ოცნება“ ებრძვის დანაშაულს, მათ შორის საკუთარ რიგებში, ნარკორეალიზატორებს ებრძვის, ხელისუფლება რეგიონების და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნავს. ეს ნარატივები ნაწილობრივ 4 ოქტომბრის შემდეგაც გაგრძელდა. თუმცა, ასევე გაჩნდა საუბრები იმაზე, რომ პროტესტი მშვიდობიანი არ არის და ოპოზიციას და პროტესტის მონაწილეებს ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა უნდათ (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7: ძირითადი ნარატივები 2025 წლის 1 სექტემბრიდან 29 ნოემბრამდე პერიოდში სომხურენოვან სეგმენტში (პოსტების რაოდენობა)



საკუთრივ ანტიდასავლურ ნარატივებს რაც შეეხება, ამ მხრივ აქტიურად ვრცელდებოდა, რომ დასავლეთი ცდილობს საქართველოს ხელისუფლების დამხობას, ევროკავშირი საქართველოს შანტაჟის ენით ესაუბრება და უვიზო რეჟიმის

გაუქმებით ემუქრება, და რომ აშშ–ს პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს „დიფ სთეითი“ ასრულებს, რომელიც საქართველოს დესტაბილიზაციას ცდილობს. ამავდროულად, ზოგიერთ პოსტში ევროკავშირი და ნატო პოზიტიურ კონტექსტშიც ფიგურირებდა (მაგალითად, ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომა, NATO–ს „Agile Spirit 2025“), რაც ქმნიდა წინააღმდეგობრივ, მაგრამ მიზანმიმართულ დისკურსს: დასავლეთთან თანამშრომლობა მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ხელისუფლების ინტერესებს ემთხვევა.

რუსეთ–უკრაინის ომი შერჩეულ სომხურენოვან გვერდსა და ჯგუფზე ძირითადად პრორუსული ინტერპრეტაციით შუქდებოდა და აქაც ანტიდასავლური განწყობები დომინირებდა, რომ უკრაინა დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე რჩება, იგი მხოლოდ დასავლეთის გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის გამოიყენეს და ომი ტრამპისა და პუტინის შეთანხმებით დასრულდება. „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ განსაკუთრებით რადიკალურ ნარატივებს ავრცელებდა, მათ შორის ამართლებდა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრას, ამას „ისტორიული სამართლიანობის აღდგენად“ წარმოაჩენდა და პრეზიდენტ ზელენსკის დასავლეთის მარიონეტად მოიხსენიებდა.

ამის პარალელურად ვითარდებოდა ნარატიული ხაზი, რომელიც საქართველოს მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკის აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას.

ძირითადი აქტორები

მონიტორინგის ბაფხულისა და შემოდგომის პერიოდის ანალიზი აჩვენებს, რომ დისკურსის ცენტრალური აქტორი საქართველოს ხელისუფლება/„ქართული ოცნებაა“, რომელიც არა მხოლოდ ხსენების სიხშირით ლიდერობს, არამედ უმეტესად პოზიტიურ კონტექსტშია წარმოდგენილი, როგორც სტაბილურობის, მშვიდობისა და ეროვნული ინტერესების გარანტი. განსაკუთრებით მკაფიოა ბიძინა ივანიშვილის პერსონალიზებული და ემოციურად გაძლიერებული პოზიტიური იმიჯი. ამასთან, პრემიერმინისტრ კობახიძის უარყოფითი გაშუქება პრაქტიკულად არ ფიქსირდება. ამის საპირისპიროდ, ოპოზიცია, პროევროპული პროტესტის მონაწილეები და დასავლეთი რეგულარულად არიან წარმოჩენილი, როგორც არაკომპეტენტური, გახლეჩილი, ძალადობრივი და „გარე ძალებთან“ დაკავშირებული აქტორები.

ქართულენოვან სეგმენტში ეს პოლარიზაცია განსაკუთრებით მკვეთრია და უარყოფითი ტონის წილი თითქმის სრულად ფარავს ოპოზიციურ და პროდასავლურ აქტორებს, მაშინ როცა აზერბაიჯანულენოვან სივრცეში ნეიტრალური, საინფორმაციო სტილი დომინირებს. სომხურენოვან სეგმენტში დისკურსი დამატებით შეიცავს პრორუსულ კომპონენტს — რუსეთი და სომხეთი ხშირად პოზიტიურად არიან წარმოდგენილნი, ხოლო დასავლეთი, ევროკავშირი და აშშ, მათ შორის „დიფ სთეითის“ გავლენით, დასახელებულია როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და სტაბილურობისთვის საფრთხის შემცველი ძალა. მთლიანობაში, აქტორების განაწილება და მათი

ტონალური ჩარჩოები ქმნის მკაფიო ნარატიულ იერარქიას, რომლის მიზანია ხელისუფლების ლეგიტიმაციის გამყარება და ოპოზიციისა და დასავლეთის დისკრედიტაცია.

სრულ მონაცემებს და მთლიან ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდს თუ შევხედავთ, იკვეთება ერთი ყველაზე ხშირად წარმოჩენილი აქტორი: საქართველოს ხელისუფლება/„ქართული ოცნება“, რომელიც გაშუქების სიხშირის მხრივ გამოკვეთილი ლიდერია. მასზე საუბარი მონიტორინგისთვის შერჩეულ გვერდებსა და ჯგუფებში 417 პოსტში მიმდინარეობდა და უმეტესად დადებითად იყო წარმოჩენილი. პოსტების მეოთხედის შემთხვევაში ვხვდებოდით უარყოფითი წარმოჩენის წილსაც, რაც, ისევ და ისევ, უმეტესად ახალი ამბების ტიპის შედარებით ნეიტრალურ გვერდებზე პროევროპული პროტესტის თემატიკის ან დასავლეთის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების კრიტიკის გაშუქების შედეგი იყო (იხ. დიაგრამა 8). ხელისუფლებაზე გავრცელებულ პოზიტიური შინაარსის პოსტებს ემოციურად ძლიერი ვიზუალი და ტექსტები უჭერდა მხარს. ხელისუფლება წარმოდგენილი იყო, როგორც ერთიანი, ქვეყნის ინტერესებზე მზრუნველი და სტაბილური ძალა, „ის ერთადერთი ხელისუფლება, რომლის მმართველობის პერიოდშიც ომი არ ყოფილა“.

გარდა საკუთრივ ხელისუფლებასა და „ქართულ ოცნებაზე“ საუბრისა, საკმაოდ ხშირად ნახსენები აქტორი იყო კონკრეტულად პრემიერმინისტრი კობახიძე და ბიძინა ივანიშვილი. კობახიძის შემთხვევაში უარყოფითი გაშუქება არ დაფიქსირებულა, ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში კი ყველაზე მაღალი იყო დადებითად წარმოჩენის წილი (110 პოსტიდან 74, ანუ 67%). ბიძინა ივანიშვილი ხშირად იყო ნახსენები, როგორც ერის გადამრჩენელი, ქველმოქმედი და ოჯახის ღირებულებების მატარებელი ადამიანი

დიაგრამა 8: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით 2025 წლის 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდი (პოსტების რაოდენობა, სრული მონაცემები)



დანარჩენ ტოპ აქტორებს შორისაა: პროევროპული პროტესტის მონაწილეები, ოპოზიცია, ევროკავშირი / ევროპა, ნაციონალური მოძრაობა. მათ შემთხვევაში უარყოფითი წარმოჩენა ჭარბობს და, ევროკავშირის გარდა, დადებითი გაშუქების წილი თითქმის საერთოდ არ გვხვდება. პროტესტის მონაწილეები მონიტორინგის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულად იყვნენ წარმოჩენილი. ზაფხულში მათ უფრო მეტად აშუქებდნენ, როგორც კომიკურ, სუსტ და მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ ფიგურებს, განსხვავებით წინა პერიოდებისგან, როდესაც მათ კრიმინალიზებული და ძალადობრივი იმიჯი ჰქონდათ. 4 ოქტომბრის შემდეგ პროტესტის მონაწილეების შემთხვევაში მოძალადისა და კრიმინალის იმიჯი გარკვეულწილად დაბრუნდა კიდეც. მათ დასახასიათებლად გამოყენებული იყო შემდეგი სიტყვები: დასავლეთის / ევროკავშირის მონები, მანქურთები, აკაცუკები ან ოლე–ოლა აკაცუკები, ალქაჯების ბრბო, რადიკალები, მოძალადეები, უსამშობლოები, რწმენის არმქონე, სიყვარულის არმქონე, საწყალი და დაზომბირებული ბავშვები, გიჟები და არანორმალურები. ხშირად იყო მინიშნება იმაზეც, რომ აქციის მონაწილეები ლგბტ თემის წარმომადგენლები არიან ან ამ მხრივ ლიბერალური დამოკიდებულება აქვთ.

საინტერესოა, რომ თუკი მხოლოდ ქართულენოვან სეგმენტს შევხედავთ და აჭარის გვერდსა და ჯგუფსაც გამოვრიცხავთ, რომელთა შორისაც, აზერბაიჯანულენოვანი გვერდის მსგავსად, ახალი ამბების გვერდია და ინფორმაციას უფრო მოკლედ და ნეიტრალურად გადმოსცემს, ყველაზე ხშირად წარმოჩენილი აქტორების ჩამონათვალი იცვლება და პირველ ადგილას ინაცვლებს პროევროპული პროტესტის მონაწილეები და გაშუქების უდიდესი წილი (პოსტების 98%) უარყოფითია (იხ. დიაგრამა 9). იგივე ეხება სხვა აქტორებსაც: ნაციონალურ მოძრაობას, ოპოზიციას ზოგადად, მიხეილ სააკაშვილსა და ევროკავშირს/ევროპას. ევროკავშირის/ევროპის შემთხვევაში დადებითი და ნეიტრალური გაშუქების წილი მცირედით აღემატებოდა პოსტების მეხუთედს. კონკრეტული თუ ზოგადი ოპოზიციის წარმოჩენა კი თითქმის ყველა პოსტში (პოსტების 95%–ისა და მეტის შემთხვევაში) უარყოფითი იყო. ოპოზიცია ძირითადად წარმოდგენილი იყო არა როგორც სტრუქტურირებული პოლიტიკური ძალა, არამედ კონკრეტული ინდივიდუალური ფიგურები, რომლებზეც უარყოფითი და დამცინავი შინაარსის პოსტები გვხვდებოდა. დამცინავი პოსტების სამიზნე განსაკუთრებით ხშირად იყვნენ: „ლელო“, „გახარია საქართველოსთვის“ პარტიები და მათი წარმომადგენლები, ალეკო ელისაშვილი – ანუ ის პარტიები, რომლებმაც ბოლო მომენტში 4 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტეს, ასევე ე.წ. „ქუჩის ოპოზიციის“ წარმომადგენლები. ოპოზიციური აქტორები ხშირად დახასიათებული იყო როგორც არაპრინციპული, ურთიერთგამომრიცხავი და ერთმანეთთან დაპირისპირებული პირები თუ ძალები. მათ მიმართ გამოყენებული იყო როგორც ძველი განცხადებების რეპროდუქცია, ისე კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატები პასუხისმგებლობის თავიდან არიდების ან პოზიციების ცვლილების წარმოსაჩენად.

დიაგრამა 9: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდი (პოსტების რაოდენობა, მხოლოდ ქართულენოვანი სეგმენტი, აჭარის გარდა)



ყველაზე ხშირად ნახსენები აქტორების შვიდეულში დადებითად წარმოჩენილი იყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი. ეს სხვაობა აჩვენებს ამ გვერდების/ჯგუფების მიზანს, გააკრიტიკოს და უარყოფითად წარმოაჩინოს პროდასავლური პროტესტი, ოპოზიცია და თავად დასავლეთი.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ხშირად ნახსენები აქტორების ჩამონათვალში არ მოხვდნენ, მონიტორინგისთვის შერჩეულ გვერდებსა და ჯგუფებში, განსაკუთრებით ქართულენოვან აუდიტორიაზე გათვლილ გვერდებსა და ჯგუფებში ანტიოპოზიციური თუ ანტისახელისუფლებო ნარატივების გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რელიგიური ფიგურები და მათ გარშემო არსებული ჯგუფები. „წმინდა მამების“ ჯგუფი ხშირად აკრიტიკებდა ხელისუფლებას ფსევდო–პატრიოტიზმისა და კორუფციის გამო, რაც ულტრაკონსერვატიული ალტერნატიული დისკურსის სივრცეს ქმნიდა.

მამა დოროთე ყურაშვილი, რომელიც ღიად უჭერს მხარდა პროტესტს, მონიტორინგში ჩნდებოდა როგორც დისკრედიტაციის ობიექტი. მას მოიხსენიებდნენ შემდეგი სიტყვებით: აკაცუკების მამაო, მიშისტი მამაო, სამაზვანეცი, ეშმაკის მსახური, მწვალებელი. მის წინააღმდეგ გამოყენებული იყო ლგბტ თემატიკა, როგორც მორალური ბრალდების ინსტრუმენტი. პარალელურად, იგივე თემა გამოიყენებოდა ულტრაკონსერვატიული ძალების მიერ თავად „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, რაც აჩვენებდა, რომ ღირებულებითი საკითხები მოქნილად და ინსტრუმენტულად გამოიყენებოდა სხვადასხვა აქტორის მიერ.

საერთაშორისო აქტორები უმეტესად ზოგად ჭრილში იყვნენ ნახსენები, როგორც ქვეყნები ან მათი ხელისუფლება, იშვიათი იყო კონკრეტული აქტორების გაშუქება. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა გერმანიის ელჩი პიტერ ფიშერი, რომელიც წარმოჩენილი იყო როგორც ოპოზიციასთან დაკავშირებული და ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის

სიმბოლო. დასავლეთი ზოგადად ნახსენები იყო, როგორც პროტესტისა და პოლიტიკური დესტაბილიზაციის ფარული მხარდამჭერი, განსაკუთრებით 4 ოქტომბრის მოვლენების კონტექსტში.

აზერბაიჯანულენოვან პოსტებში წარმოჩენილი აქტორები

აზერბაიჯანულენოვან პოსტებში წარმოჩენილი აქტორების ჩამონათვალი გარკვეულწილად მსგავსი იყო, თუმცა, ქართულენოვანი პოსტებისგან განსხვავებით, ყველაზე ხშირად ნახსენები აქტორების შვიდეულში „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მეტი წარმომადგენელი მოხვდა, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარე პაპუაშვილი და თბილისის მერი კალაძე (იხ. დიაგრამა 10).

დიაგრამა 10: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდი (პოსტების რაოდენობა, აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტი)



აქტორების ხსენებისას თვალში საცემი იყო ნეიტრალური ტონის მეტი წილი როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების, ასევე ოპოზიციური ჯგუფების, პროტესტის მონაწილეების თუ ევროკავშირის წარმოჩენისას. ეს ისევ და ისევ იმით აიხსნება, რომ დაკვირვების ქვეშ მყოფი აზერბაიჯანულენოვანი გვერდი და ჯგუფი საინფორმაციო საშუალების გვერდსა და ჯგუფს წარმოადგენს და, სხვა უფრო მკვეთრად ანტიდასავლურ გვერდებსა და ჯგუფებთან შედარებით, ახალი ამბების გადმოცემის უფრო მშრალი სტილით გამოირჩეოდა, სადაც ხშირად ახალი ამბის მონაწილე პირების ციტატები იყო ნახსენები.

სომხურენოვან პოსტებში წარმოჩენილი აქტორები

სომხურენოვან პოსტებში ყველაზე ხშირად წარმოჩენილი აქტორების ჩამონათვალი ქართულენოვან და აზერბაიჯანულენოვან პოსტებს უმეტესად ემთხვეოდა. თუმცა, ქართულენოვანისგან განსხვავებით, ვხვდებოდით რუსეთს, როგორც მეორე ყველაზე ხშირად ნახსენებ აქტორს, თანაც, პოსტების ნახევარზე მეტის შემთხვევაში დადებითად წარმოჩენილს (იხ. დიაგრამა 11). ასევე, ხშირად ნახსენებ აქტორებში სხვა ჯგუფებისგან განსხვავებით იყო სომხეთი, ასევე უმეტესად დადებითად წარმოდგენილი, და აშშ–ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი.

განსაკუთრებით „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ ჯგუფის გზავნილებში რუსეთი წარმოდგენილი იყო როგორც კონსტრუქციული და მშვიდობაზე ორიენტირებული აქტორი, რომელიც მზად არის უკრაინასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის და მას მხარს უჭერენ სხვა გლობალური მოთამაშეები მაშინ, როცა უკრაინა და მისი დასავლელი პარტნიორები რეალობისგან მოწყვეტილნი არიან.

სხვა მხრივ ტენდენცია მსგავსი იყო. ყველაზე მეტად საუბარი სომხურენოვან გვერდსა და ჯგუფშიც ხელისუფლებაზე მიმდინარეობდა. გაშუქების ტონი პოსტების დიდი უმრავლესობის შემთხვევაში დადებითი იყო. თუმცა, განსხვავდებოდა ხელისუფლების როლი. „ფარვანა ტვ“–ის კონტენტში ხელისუფლება წარმოდგენილი იყო როგორც აქტიური, ქმედითი და ნარატივების ჩამომყალიბებელი სუბიექტი, რომელიც ებრძვის დასავლურ ზეწოლასა და შიდა დესტაბილიზაციის მცდელობებს. „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ ჯგუფის შემთხვევაში კი ხელისუფლება უფრო სიმბოლურ და ნორმატიულ აქტორად გვევლინებოდა და ნახსენები იყო, როგორც სუვერენული კურსის მატარებელი ძალა, რომელსაც დასავლური ჩარევისგან დაცვა სჭირდება.

დიაგრამა 11: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე პერიოდი (პოსტების რაოდენობა, სომხურენოვანი სეგმენტი)



ყველაზე ხშირად ნახსენებ აქტორებს შორის სომხურენოვან ჯგუფსა და გვერდზეც იყვნენ: პროევროპული პროტესტის მონაწილეები, ოპოზიცია და დასავლეთი, რომლებიც პოსტების დიდი უმრავლესობის შემთხვევაში უარყოფითად იყვნენ წარმოდგენილნი.

ანტიდასავლური შინაარსის პოსტების ძირითადი სამიზნე აქტორები იყო: ევროკავშირი, ევროპარლამენტი და ამერიკის შეერთებული შტატები. ევროკავშირი წარმოდგენილი იყო როგორც სუბიექტი, რომელიც არ სცემს პატივს საქართველოს სუვერენიტეტს, შანტაჟის ენით საუბრობს ხელისუფლებასთან და უვიზო მიმოსვლის შეჩერებით ცდილობს ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე ზემოქმედებას. ევროკავშირი და ევროპარლამენტი ხშირად ნახსენები იყო, როგორც მიკერძოებული და „ანტიქართული“ ინსტიტუციები, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყანაში არეულობას, რადიკალიზაციასა და პროტესტს.

აშშ წარმოდგენილი იყო ორმაგ როლში: ერთი მხრივ, სახელისუფლებო რიტორიკა ხაზს უსვამდა სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენის სურვილს, მეორე მხრივ კი ანტიდასავლური ნარატივები ამტკიცებდნენ, რომ ვაშინგტონი უსამართლოდ ეპყრობა საქართველოს, არ უჭერს მხარს მის ტერიტორიულ მთლიანობას და რეალურ გადაწყვეტილებებს ხელს უშლის „დიფ სთეითი“.

ანტიდასავლური ნარატივების ფარგლებში მნიშვნელოვან სამიზნე აქტორებად გვევლინებოდნენ დასავლელი ელჩები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებისა და მედიის გზავნილების თანახმად, ელჩები არღვევდნენ ვენის კონვენციას, მხარს უჭერდნენ ხელისუფლების ოპონენტებს და ხელს უწყობდნენ სიძულვილისა და შუღლის გაღვივებას.

არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის დასავლური ფონდები (მაგალითად, სოროსის ფონდი), წარმოდგენილნი იყვნენ როგორც ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის დამფინანსებლები, რომლებიც პროტესტის მონაწილეებს დაუმორჩილებლობისა და ძალადობისკენ მოუწოდებენ.

უკრაინა და მისი პრეზიდენტი ზელენსკი ხშირად მოიხსენიებოდნენ როგორც დასავლეთის მარიონეტები. მათთან დაკავშირებული პოსტები ამტკიცებდა, რომ უკრაინა დასავლეთის ინსტრუმენტია, რომლის მიზანიც რეგიონში კონფლიქტის გაფართოება და საქართველოს ომში ჩართვაა.

სომხურენოვანი გვერდისა და ჯგუფის შემთხვევაში განსაკუთრებით ვხვდებით „გლობალური ომის პარტიას“ / „დიფ სთეითს“, რომელიც ცალკე აქტორადაა ფორმირებული და რომელიც, ნარატივების მიხედვით, დასავლურ ინსტიტუციებსა და ცალკეულ ქვეყნებს აერთიანებს. აღნიშნული აქტორი წარმოჩენილი იყო, როგორც საქართველოს ომში ჩართვის მცდელობებსა და ქვეყანაში „მეორე ფრონტის“ გახსნის გეგმებზე პასუხისმგებელი პირი. ამ კონტექსტში განსაკუთრებით იკვეთებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნების როლი, რომლებიც წარმოდგენილი იყო, როგორც პროცესების ერთ–ერთი აქტიური მამოძრავებელი.

ძირითადი გამავრცელებლები (პოსტის ავტორები და გამზიარებლები)

მონიტორინგის მონაცემები აჩვენებს, რომ პოსტების ავტორები და გამავრცელებლები საკმაოდ მრავალფეროვანი ჯგუფებია, რომლებიც მოიცავს საინფორმაციო მედია საშუალებებს, კონკრეტულ „ფეისბუქ“ გვერდებსა და ჯგუფებს, სახელისუფლებო და ოპოზიციურ აქტორებს, ასევე უცნობ ინდივიდებს. ქართულენოვან სეგმენტში აქტიურობით გამოირჩეოდნენ ღიად ან შეფარვით პროსახელისუფლებო გვერდები და „ადმინები“, რომლებიც ქმნიდნენ, ავრცელებდნენ და ემოციურად აძლიერებდნენ ანტიდასავლურ და პროსახელისუფლებო ნარატივებს, ხშირად სინერგიაში მოქმედებდა საინფორმაციო მედია და რეგიონული ჯგუფებიც. აზერბაიჯანულენოვან პოსტებში მთავარ გამავრცელებელ ფიგურად საინფორმაციო მედია საშუალებები გამოვლინდა, რომლებიც ინფორმაციის მიწოდებაზე კონცენტრირდებოდნენ. სომხურენოვან სეგმენტში შერჩეული გვერდი და ჯგუფი ავრცელებდა პოსტებს, რომლებიც ხაზს უსვამდნენ ხელისუფლების ლეგიტიმაციას, პროსახელისუფლებო გზავნილებსა და ანტიდასავლურ განწყობებს. საერთო ჯამში, ნარატივების გავრცელების ქსელი მრავალსაფეხურიანი, წინასწარ განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით სტრუქტურირებული და სეგმენტირებული იყო, რაც საშუალებას აძლევდა სხვადასხვა აუდიტორიას განსხვავებული გზავნილებით მიემართა.

რაც შეეხება პოსტების ავტორებსა და გამავრცელებლებს, ისინი მოიცავს მონიტორინგისთვის შერჩეულ გვერდებსა და ჯგუფებს, რომლებიც ხშირად თავად ან მათი „ადმინები“ არიან ინფორმაციის გამავრცელებელი; თუმცა, ხშირად იყენებენ სხვადასხვა მედია საშუალების მასალას. შერჩევის მრავალფეროვნებისთვის ზოგი გვერდი/ჯგუფი წარმოადგენდა ღიად ხელისუფლების მხარდამჭერ პლატფორმას, ზოგი – შეფარვით მხარდამჭერს, ზოგი იყო „მეინსტრიმ“ ან „არამეინსტრიმ“ მედია საშუალება, და ზოგიც კონსერვატიული ფლანგის წარმომადგენელი. ამიტომაც ქვემოთ მოცემული კატეგორიები გარკვეულწილად შერჩევაშივე იყო წინასწარ განსაზღვრული.

2025 წლის ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში, 1 ივნისიდან 29 ნოემბრამდე, გაანალიზებული პოსტების ავტორი ან გამავრცელებელი ყველაზე ხშირად იყო: საინფორმაციო მედია საშუალება (პოსტების 48%–ის შემთხვევაში), სხვა „ფეისბუქ“ გვერდი (27%) და უცნობი ინდივიდი (18%) (იხ. დიაგრამა 12).

დიაგრამა 12: პოსტის ავტორი / გამავრცელებელი, სრული მონაცემები, 1 ივნისი – 28 ნოემბერი, 2025 (%)



ქართულენოვანი გვერდებისა და ჯგუფების შემთხვევაში როგორც ავტორები, ასევე პოსტების გამზიარებლები ხშირად არიან თავად ანტიდასავლური მიმართულების „ფეისბუქ“ გვერდები. მაგალითად: „პოლიტიკოსები 1 ლარიდან“, „შიგ ევროპაში“, „POSTV – ანალიტიკა“, „არ აგარევინებთ“, „Gogaggg”. ეს გვერდები რეგულარულად ავრცელებენ ანტიდასავლურ და პროსახელისუფლებო ნარატივებს. ანტიდასავლურ აქტივობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გვერდის ადმინისტრატორები, ე.წ. „ადმინები“. ამ მხრივ რამდენიმე აქტიური „ადმინია“: დავით თორდია („ლიდერი 41“), ლეილა ცინაძე–მელიქიძე („ბიძინა ივანიშვილი და მომავალი თაობა“), გეგა გიორგი ხვედელიძე („წმინდა მამები და მათი გამონათქვამები“). „ადმინები“ ხშირად ქმნიან და ავრცელებენ პოსტებს, აქვეყნებენ ფოტოებსა და ვიდეოებს, აძლიერებენ ემოციურ ეფექტს, იზიარებენ პროსახელისუფლებო ნარატივებს.

მონიტორინგის ქვეშ მყოფ გვერდებსა და ჯგუფებში პოსტების შემქმნელები ან გამავრცელებლები ხშირად საინფორმაციო სააგენტოები არიან: „ტვ იმედი“, „მედია კავშირი ობიექტივი“, ასევე, კონსერვატიული მოძრაობები „ქართული იდეა“. ისინი ავრცელებენ ანტიდასავლურ ინფორმაციებს, ავითარებენ კონსერვატიულ ნარატივებს, ქმნიან კონტენტს, რომელსაც შემდეგ გვერდები და „ადმინები“ აზიარებენ.

მნიშვნელოვან აქტორთა ჯგუფს წარმოადგენენ რეგიონული მედია და ხელისუფლების მხარდამჭერი ჯგუფები, რომლებიც უფრო დაბალი აგრესიისა და ფორმალურად ნეიტრალური ტონის პირობებში ავრცელებენ პროსახელისუფლებო გზავნილებს. მათი ძირითადი აქცენტი კეთდება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე – გზების, წყლის სისტემების, ხიდების, სკოლების რეაბილიტაციაზე. მაგალითად, „ივანიშვილის მხარდამჭერები აჭარაში“, „top-news.ge“, „გაზეთი აჭარა“. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პოსტები ხშირად ინფორმაციული ფორმითაა წარმოდგენილი, მათში სისტემატურად ფიქსირდება ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობის ხაზგასმა. ამგვარი ყოველდღიური კომუნიკაცია ქმნის „მუშა

[ეფექტური] ხელისუფლების“ იმიჯს და ფუნქციონირებს როგორც არაპირდაპირი პოლიტიკური პროპაგანდა. ამავე ქსელებში ხშირია ემოციური მხარდაჭერის პოსტები ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის მიმართ, რაც კონკრეტული ჯგუფების სტაბილურ სპეციფიკად იკვეთება.

პოსტების შემქმნელები ან გამზიარებლები ხშირად ე.წ. უცნობი ინდივიდები არიან, ადამიანები, რომლებსაც საზოგადოება არ იცნობს და ჩვეულებრივ „ფეისბუქ“ მომხმარებლად იდენტიფიცირდებიან ან სულაც არ ამჟღავნებენ ვინაობას. ამ მიმართულებით ხან ვხვდებით ისეთ პროფილებს, რომლებიც ბადებს ეჭვს, რომ გარკვეული დაინტერესება აქვთ კონკრეტული ტიპის ინფორმაციის გაზიარების კუთხით, ან სულაც „ტროლები“ არიან. ერთ–ერთი ასეთი მონიტორინგის პერიოდში იყო Giorgi Farava, რომლის რეალური ვინაობა გაურკვეველია. არ აქვს პირადი ფოტო ან ინფორმაცია. პროფილი იყენებს ბიძინა ივანიშვილისა და მთავრობის წევრების ფოტოებს. აზიარებს პროსახელისუფლებო ნარატივს. ასეთ პროფილებს შესაძლოა, იყენებდნენ საინფორმაციო პროცესის მანიპულირებისთვის ან კონკრეტული ნარატივის გავრცელების გასაძლიერებლად.

პოსტების ავტორებად ასევე გვევლინებიან მმართველი პარტიის წარმომადგენლები, რომელთა პოსტებს ანტიდასავლური შინაარსის გვერდები ხშირად აზიარებენ. ასეთი პოლიტიკოსები არიან, მაგალითად: ირაკლი კობახიძე, დიმიტრი სამხარაძე, ნინო ლაცაბიძე, კახა კალაძე, ირმა ინაშვილი, რიმა ბერაძე. მათი საქმიანობა, განცხადებები ან პოზიტიური ნარატივები სოციალურ ქსელში ფართოდ ვრცელდება, რაც აძლიერებს მმართველი პარტიის იმიჯს და ხელს უწყობს ოპოზიციის დისკრედიტაციას.

ძირითადი გამავრცელებლები აზერბაიჯანულენოვან პოსტებში

აზერბაიჯანულენოვანი პოსტების შემთხვევაში შერჩეული საინფორმაციო გვერდი და ჯგუფი, აზერბაიჯანულენოვანი მედია საშუალებები (Aktual.ge, 24news.ge) წარმოადგენენ მთავარ გამავრცელებელს. ისინი ძირითადად ინფორმაციას ავრცელებენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე: საპროტესტო აქციები, ხელისუფლებისა და ოპოზიციის განცხადებები, შიდა პოლიტიკური დინამიკა. ასევე დასავლეთის პოზიციებზე საქართველოსთან მიმართებით; საქართველოს ხელისუფლების პოზიციებზე; აზერბაიჯანთან ურთიერთობებსა და გლობალურ პოლიტიკაზე. ეს მედიები არიან ინფორმაციის მთავარი წყარო აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისთვის, რომელებსაც ქართული ენის ბარიერი აქვთ და სწორედ ამ წყაროებით ეცნობიან საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკას. მათი მიზანია აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდება.

ძირითადი გამავრცელებლები სომხურენოვან პოსტებში

სომხურენოვანი პოსტების გასაანალიზებლად შერჩეულია ორი გვერდი: „ფარვანა ტვ“ და „ჯავახური დიასპორა რუსეთში“. „ფარვანა ტვ“ პოსტებს აქვეყნებს მისი საინფორმაციო გადაცემა „ანარეკლის“ სახელზე გახსნილ

„ფეისბუქ“ გვერდზე, რომელსაც 13 ათასი გამომწერი ჰყავს. პოსტების დიდ ნაწილს ერთი ან ორი გაზიარება აქვთ, რამდენიმე პოსტს უფრო მეტი, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე. „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ არასამთავრობო ორგანიზაციის „ფეისბუქ“ გვერდს 1.7 ათასი გამომწერი ჰყავს. პოსტების ძირითად ნაწილს რეაქცია არ აქვთ და დაახლოებით ათამდე გაზიარება აქვთ, ხშირად ორგანიზაციის ხელმძღვანელის, აღასი არაბიანის მიერ სხვადასხვა „ფეისბუქ“ ჯგუფში.

ანტიდასავლური რიტორიკის ბუნება

მონიტორინგის პერიოდში პოსტების უმრავლესობაში ამჟარა ყალბი ინფორმაცია არ დაფიქსირებულა, თუმცა, მნიშვნელოვანი წილი, დაახლოებით მესამედი, შეიცავდა მანიპულაციურ ან სუბიექტურად გაზიარებულ კონტენტს, განსაკუთრებით ოპოზიციის, პროევროპული პროტესტის მონაწილეების და ოპოზიციური მედიის მიმართ. ფოტოებისა და ვიდეოების საშუალებით წარმოებული მანიპულაციები ძირითადად ემოციურ ეფექტს აძლიერებდა, ზოგი კი ხელოვნური ინტელექტით იყო შექმნილი. ენების მიხედვით სპეციფიკა განსხვავდებოდა: ქართულენოვან ჯგუფებში მანიპულაცია უფრო ხშირი იყო, აზერბაიჯანულენოვან პოსტებში – კონტენტი საინფორმაციო და უმეტესად ფაქტებზე დაფუძნებული. სომხურენოვან პოსტებშიც ყალბი ან მანიპულაციური კონტენტის წილი მინიმალური იყო.

სხვა მონაცემების შეგროვებასთან ერთად, პოსტების გაანალიზებისას ყურადღება ექცეოდა იმას, იყო თუ არა პოსტში წარმოდგენილი აშკარად ყალბი ინფორმაცია. საუბარია ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც არ საჭიროებს „ფაქტ–ჩეკერების“ მსგავს გამოძიებას. მოცემული შეფასების გაკეთებისას მონიტორები აკვირდებოდნენ მხოლოდ პოსტში გადმოცემულ ინფორმაციას, მითითებული ინფორმაციის წყაროს და ასეთის არსებობის შემთხვევაში საჯარო წყაროებში ამოწმებდნენ ინფორმაციის სისწორეს.

ყველა გვერდის/ჯგუფის შემთხვევაში გაანალიზებული პოსტების უმრავლესობაში (67%) ყალბი ინფორმაცია არ აღმოჩნდა. ასეთი მხოლოდ პოსტების 1%–ში დაფიქსირდა (14 პოსტი) – პოსტი სრულად ან მისი ნაწილი, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამებოდა (იხ. დიაგრამა 13). ასეთი პოსტების უმეტესობას უკვე ჰქონდა მონიშვნა „ფეისბუქის“ მიერ, რომ ინფორმაცია გადამოწმებულია მესამე მხარის მიერ ან რომ პოსტში წარმოდგენილია არასანდო ინფორმაცია. თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში ასეთი მითითება არ იყო. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, 2025 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, ასეთი იყო, ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ფოტო ან ვიდეო, მაგალითად, ვიდეო, სადაც ასახული იყო, ერთი მხრივ, პუტინის და ტრამპის შეხვედრა და, მეორე მხრივ, უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ტირილი. ან ფოტო, სადაც აქციის მონაწილეს დროშაზე ჰქონდა დაბიჯებული ფეხი და ხელში „მოლოტოვის კოქტეილი“ ეჭირა, ხოლო პოლიციელი ამ დროშის აღებას ცდილობდა. პოსტი იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილმა საქართველოდან გაყარა აშშ–ს ელჩები, ან ის, რომ ამერიკელებმა პრეზიდენტ ზურაბიშვილის ევაკუაცია მოახდინეს.

დიაგრამა 13: არის თუ არა პოსტში აშკარად ყალბი ინფორმაცია? (%)



თუმცა, პოსტების დაახლოებით მესამედის შემთხვევაში მონიტორები არ იყვნენ დარწმუნებულნი, იყო თუ არა პოსტში ყალბი ინფორმაცია და უჭირდათ შეფასების გაკეთება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება, საქმე გვქონოდა პოსტთან, რომელში მოცემული ინფორმაციაც შეიცავდა სინამდვილის ელემენტებს, ან სულაც სიმართლეს, რომელიც მხოლოდ ერთი მხრიდან იყო დანახული ან სუბიექტური ინტერპრეტაცია ჰქონდა გაკეთებული. 2025 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე პოსტებში გამოყენებული იყო ისეთი ტექნიკები, როგორიცაა კონტექსტის შეცვლა ან ინფორმაციის უკონტექსტოდ წარმოჩენა, სუბიექტური მოსაზრების გაზიარება ფაქტის შესაბამისი დამაჯერებლობით, იარლიყების მიწებება, მაგალითად, პროტესტის მონაწილეების მიმართ ისეთი ტერმინების გამოყენება რეგულარულად, რომელიც აზრს ჩაანაცვლებს ემოციური შეფასებით: „ნაცი“, „მოღალატე“, „უსამშობლო“, „ლგბტ ხროვა“. ასევე ხშირი იყო ფოტო და ვიდეო მანიპულაციები, რაც განსაკუთრებით დიდ ემოციურ გავლენას ახდენდა მომხმარებელზე და უმეტესად სამი აქტორის ან აქტორთა ჯგუფის წინააღმდეგ იყო მიმართული: ოპოზიცია, პროტესტის მონაწილეები, ოპოზიციური მედიის ჟურნალისტები, შედარებით იშვიათად უცხოელ აქტორებს შეეხებოდა.

პროცენტულად რომ შევხედოთ, სრულ მონაცემებში იმ პოსტებიდან, რომლებსაც ფოტოები ჰქონდა და ასეთი იყო პოსტების 68 პროცენტი, ფოტო მანიპულაციის წილი მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენდა. რაც შეეხება ვიდეოებს, ზოგადად, პოსტების 30 პროცენტს ჰქონდა ვიდეო და მათგან დაახლოებით მეხუთედი (21%) ვიდეო მანიპულაციას წარმოადგენდა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ვიდეო მანიპულაციის მხრივ ვხვდებოდით რეალური ვიდეოკადრების კომიკურ ან ირონიულ წარმოჩენას, ხმოვანი ეფექტების, მუსიკის ან ფილმებიდან დიალოგების დამატების გზით. საინტერესოა, რომ კონკრეტულად ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ მსგავსი ტიპის ვიდეო მანიპულაციებით გამოირჩეოდა გვერდი „შიგ ევროპაში“, რომელიც ამჟამად წაშლილია და აღარ იძებნება. თუმცა, კვლავ მოქმედია მეორე ასეთი

გვერდი, „არ აგარევინებთ“, რომელიც, მაგალითად, არაერთ ვიდეო მანიპულაციას უძღვნის 4 ოქტომბრის აქციის ორგანიზატორებს; დასცინის ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, მაგალითად, ლევან სანიკიძეს; 4 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე ოპოზიციური პარტიების კანდიდატს, ოპოზიციის მხარდამჭერი არხების ჟურნალისტებს. სხვა გვერდებზე ასევე ვხვდებით პროევროპული აქციის მონაწილეების დაცინვასა და არანორმალურებად წარმოჩენას.

ვიდეო მანიპულაციის მიმართულებით განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ფოტოები ან ვიდეოები, რომლებიც იმავე მიზნებს – სხვადასხვა შიდა თუ გარე პოლიტიკური აქტორის დაცინვას, დაკნინებას ან დისკრედიტაციას ემსახურება. მაგალითად, ვიდეო, სადაც „იმედი ტვ“–ის პოსტის სათაურის ფონზე, რომ „გედევან ფოფხაძე ელენე ხოშტარიას შეუერთდა და შიმშილობა დაიწყო“, ნაჩვენებია, როგორ ჭამენ ხაჭაპურებს. ან სალომე ზურაბიშვილი როგორ აპურებს მოშიმშილეებს. ამ შემთხვევაში ვიდეოს აქვს მითითება, რომ ხელოვნური ინტელექტითაა შექმნილი. თუმცა, ეს ნიშნული მცირე ზომისაა, ყველა მომხმარებელი ვერ წაიკითხავს ან ვერ გაიგებს, და ვიდეო უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის ამ ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მიმართ. ასეთი მითითება ხელოვნური ინტელექტით მომზადებულ ვიდეოებს ყოველთვის არც ჰქონდა. მაგალითად, ვიდეო პოსტი, სადაც ზელენსკი ტირის ჯო ბაიდენის გვერდით, როცა პუტინი და ტრამპი ერთმანეთს ხვდებიან.

როგორც ყალბი ინფორმაციის შემცველი, ასევე არაყალბი, მაგრამ მანიპულაციური ან სუბიექტური მოსაზრების ფაქტად წარმომჩენი პოსტები უფრო ხშირად ქართულენოვანი ჯგუფებსა და გვერდებზე გვხვდება. სომხურენოვანი მოსახლეობისთვის გამიზნულ პოსტებში ყალბი ან მანიპულაციური პოსტების წილი ყველაზე მცირეა და 12%–ს არ აღემატება, აზერბაიჯანულენოვან პოსტებში აშკარად ყალბი ინფორმაციის შემცველი ინფორმაცია არ გვხვდება, თუმცა, არის პოსტები, სადაც ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის გამო ზოგჯერ რთულია მისი სისწორის შეფასება. გარკვეულწილად ეს შერჩევის სპეციფიკიდანაც გამომდინარეობს, რადგანაც შერჩეული აზერბაიჯანულენოვანი ჯგუფი და გვერდი საინფორმაციო საშუალებას წარმოადგენს. ქართულ და სომხურენოვანი ჯგუფები და გვერდები კი შერჩეულია მათ შორის იმ კრიტერიუმით, რომ ანტიდასავლურ კონტენტს აზიარებენ.

აზერბაიჯანულენოვანი „ფეისბუქ“ გვერდების შემთხვევაში პოსტები ინფორმაციულ სტილს იყენებდნენ, ფაქტების გადმოცემით და ხშირად პირდაპირი ციტატებით. აქვეყნებდნენ დასავლელი ლიდერების, ევროკავშირის, აშშ–სა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების, საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს კომენტარის გარეშე. ანტიდასავლური შინაარსის განცხადებები უმეტესად დამადასტურებელი წყაროების გარეშე იყო მოცემული. სხვა თემებთან ერთად, პოსტები ეხებოდა კონსპირაციის თეორიას, „დიფ სთეითს“ და მის გავლენას გავლენიანი ქვეყნებისა და ლიდერების ქმედებებზე. ასეთი განცხადებები მიზნად ისახავდა დასავლეთის მიმართ უნდობლობის გაზრდას და იმ აზრის ფორმირებას, რომ საქართველოს სუვერენიტეტს მხოლოდ ხელისუფლება იცავს.

სომხურენოვანი მოსახლეობისთვის განკუთვნილ, შერჩეულ „ფეისბუქ“ გვერდსა და ჯგუფს რაც შეეხება, „ფარვანა ტვ“–ის შემთხვევაში, პოსტების ფორმირება ხდებოდა ორნაირად. ძირითადი ნაწილი იყო ტექსტები, მოკლე და ვრცელი ციტატები და თითქმის ყველა ეხებოდა ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებს და პოსტებში გამოყენებული იყო მათი ფოტოები. ასევე გვერდზე ქვეყნდებოდა სომხურ ენაზე მომზადებული მოკლე ვიდეომასალები, მაგალითად, ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტებისა და შეხვედრების შესახებ,

რომლებსაც ასევე თან ახლდა ტექსტი. პოსტების ნაწილი შექმნილი იყო რუსულად, ნაწილი კი – სომხურად. ასეთი ფორმის პოსტები აუდიტორიისთვის უფრო მარტივად იყო აღსაქმელი. პოსტების ძირითადი ნაწილი ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციას წარმოადგენდა და ხშირ შემთხვევაში მათი მიზანი მოვლენების სხვანაირად წარმოჩენა და ერთი მხარის პოზიციის გაშუქება იყო, რაც აუდიტორიას არასრულ სურათს უქმნიდა.

ჯგუფში „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ პოსტების ძირითადი ნაწილი ტექსტებით და ფოტოებით ქვეყნდებოდა. პოსტები ძირითადად რუსულ ენაზე იყო შექმნილი, თუმცა, ხანდახან ზოგიერთი განცხადება ვრცელდებოდა სომხურ და ქართულ ენებზეც. ჯგუფი ასევე აზიარებდა სხვადასხვა რუსული საინფორმაციო სააგენტოს მასალებს, სადაც საუბარი იყო საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე, კავკასიაზე, დასავლეთთან და რუსეთთან ურთიერთობებზე. გვერდი ასევე აქტიურად იყენებდა ხელისუფლების წარმომადგენლების ღიად ანტიდასავლურ პოსტებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფში ყალბი ინფორმაცია არ დაფიქსირებულა და მცირე იყო შემთხვევები, როცა მონიტორს ამ მხრივ შეფასების გაკეთება უჭირდა, ტელევიზია ჯგუფში გვხვდებოდა პოსტები, რომლებიც აზიარებდა ინფორმაციას მტკიცებულებების გარეშე, კონტექსტიდან ამოგლეჯილ ციტატებს, ან ყურადღებას მოვლენების ნაწილზე ამახვილებდა.

დასკვნა

2025 წლის ივნისიდან ნოემბრის ბოლომდე "ფეისბუქის" შერჩეული გვერდებისა და ჯგუფების მონიტორინგისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოჩნდა, რომ ანტიდასავლური ნარატივები სისტემატურად წარმოადგენდნენ პოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტს. ყველაზე ხშირად გაშუქების ობიექტი იყო საქართველოს ხელისუფლება/„ქართული ოცნება“, რომლის დადებითი იმიჯის გამყარებას ემოციურად დატვირთული ვიზუალური მასალები და ტექსტები უზრუნველყოფდნენ, ხოლო პროევროპული პროტესტი, ოპოზიცია და დასავლური ინსტიტუტები, ძირითადად, უარყოფითად იყვნენ წარმოჩენილი. ნარატივების მიზანი იყო მოქალაქეებში დასავლეთის მიმართ უნდობლობის გაღვივება და პროსახელისუფლებო დამოკიდებულების გაძლიერება.

მონიტორინგის მასალებიდან იკვეთება, რომ სხვადასხვა ენობრივ სეგმენტში ნარატივების წარმოჩენის სტილი განსხვავდებოდა. ქართულენოვან აუდიტორიაზე აქცენტი ხშირად ემოციურ, დამცინავ და დისკრედიტაციულ შინაარსზე კეთდებოდა, სომხურენოვან სეგმენტში აღინიშნებოდა რუსეთის და ხელისუფლების პოზიტიური ილუსტრაცია, ხოლო შერჩეულ აზერბაიჯანულენოვან გვერდებზე მთავარი ყურადღება საინფორმაციო, ფაქტობრივად ნეიტრალურ მასალებზე იყო. ამ განსხვავებებმა ხაზგასმით აჩვენა, რომ მონიტორინგის ქვეშ მყოფი გვერდები/ჯგუფები მიზანმიმართულად განსხვავებულად მუშაობდნენ აუდიტორიის ენობრივი და რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორებისა და გამავრცელებლების ანალიზმა აჩვენა, რომ ნარატივების გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საინფორმაციო მედია, აქტიური „ფეისბუქ“ გვერდები და მათი "ადმინები" და საზოგადოებისთვის უცნობი

ან სულაც არაიდენტიფიცირებადი ინდივიდები. ისინი ქმნიდნენ და ავრცელებდნენ კონტენტს, მათ შორის ხელოვნური ინტელექტით შექმნილ ფოტოებსა და ვიდეოებს, რითიც ემოციურ ეფექტს ამყარებდნენ და საშუალებას აძლევდნენ კონკრეტული პოლიტიკური თუ ღირებულებითი პოზიციების კონსოლიდაციას. ამგვარი სტრატეგია ხელს უწყობდა როგორც ოპოზიციის დისკრედიტაციას, ისე საზოგადოების პოლარიზაციის გაღრმავებას.

ფაქტების მანიპულაციისა და სუბიექტური ინტერპრეტაციების გამოყენება მონიტორინგის პოსტებში ყოვლისმომცველი არ იყო, თუმცა, ის რეგულარულად ვრცელდებოდა და მიზნად ისახავდა კონკრეტული ჯგუფების, ძირითადად ოპოზიციისა და პროევროპული აქტორების, რეპუტაციის დაქვეითებას. ფოტო– და ვიდეომანიპულაციები, კონტექსტის შეცვლა, ციტატების ამოგლეჯა და ნეგატიური იარლიყების მიწებება კომუნიკაციის ტექნიკებად იქცა, რომლებიც აქტიურად გამოიყენებოდა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ყალბი ინფორმაციის მაჩვენებელიც დაბალი იყო, თუმცა, მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ ანტიდასავლური ნარატივების ძირითადი ეფექტი არა სიმართლის გაყალბებით, არამედ ემოციურ, დამცინავ და სტრუქტურულად დახვეწილ მანიპულაციებში მდგომარეობდა. ეს ძალზე ეფექტურად ქმნიდა საზოგადოებაში უნდობლობის გარემოს, ამყარებდა „უსაფრთხო ხელისუფლების“ დისკურსს და აძლიერებდა პოლიტიკურ პოლარიზაციას.

ამრიგად, სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ შერჩეულ გვერდებზე 2025 წლის ზაფხულიდან ნოემბრამდე პერიოდში განხორციელებული მონიტორინგი ადასტურებს, რომ ანტიდასავლური ნარატივები არა მხოლოდ ინფორმაცია იყო, არამედ პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც სხვადასხვა ტექნიკას იყენებდა ხელისუფლების მიმართ საზოგადოების პოზიტიური დამოკიდებულების, ოპოზიციური და პროადასავლური აქტორების დისკრედიტაციის დასაძლევად. ნარატივების გავრცელების სტრუქტურა, ავტორები, აუდიტორიის სეგმენტაცია და გამოყენებული ტექნოლოგიები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იყო, რაც აჩვენებს კომპლექსურ, მიზნობრივ და ორგანიზებულ საინფორმაციო გარემოს, რომელიც საქართველოში პოლიტიკური პროცესების კონტროლსა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე იყო ორიენტირებული.

დანართი 1: მეთოდოლოგია

შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით" ფარგლებში, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" ანტიდასავლური ნარატივების შესასწავლად ავირჩიეთ ერთწლიანი პერიოდი 2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგ, როცა პრემიერმინისტრმა საქართველოს ევროინტეგრაციის შეჩერების შესახებ განაცხადა და მასობრივი პროდასავლური პროტესტიც დაიწყო.

ანტიდასავლური ნარატივების შესასწავლად შევარჩიეთ 16 საჯარო გვერდი/ჯგუფი, რომელიც ანტიდასავლური და საქართველოს ევროინტეგრაციის საწინააღმდეგო რიტორიკით გამოირჩევა და მაღალი პოპულარობით სარგებლობს (ბევრი მიმდევარი/წევრი ჰყავს). ამ 16 გვერდიდან/ჯგუფიდან 12 ქართულენოვანი გვერდი/ჯგუფია. ამ 12–დან ორია ფოკუსირებული კონკრეტულად აჭარის რეგიონზე. გარდა ამისა, ვაკვირდებით 2–2 სომხურ და აზერბაიჯანულენოვან გვერდს/ჯგუფს, რომელიც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვისაა გამიზნული და უმეტესად ისინი მოიხმარენ. ამ გვერდებისა თუ ჯგუფების შესარჩევად გამოვიყენეთ საქართველოში ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის შემსწავლელი ორგანიზაციების ანგარიშები, CRRC–საქართველოს სოც. მედიის შემსწავლელი ანგარიში. ასევე, ჩვენ მიერ შედგენილი პირველადი სია გავუზიარეთ და რჩევები მივიღეთ იმ ორგანიზაციებისგან, ვინც დღემდე მუშაობს დეზინფორმაციის იდენტიფიკაციასა და ანტიდასავლური პროპაგანდის შესწავლაზე. შერჩეული ჯგუფები/გვერდები მოიცავს „ქართული ოცნების" ღიად მხარდამჭერ, ანონიმურად/არაპირდაპირ მხარდამჭერ ჯგუფებს/გვერდებს, მეინსტრიმ და არამეინსტრიმ მედია საშუალებებს, მათ შორის ადგილობრივ საინფორმაციო გვერდებსა და ულტრამემარჯვენე გვერდს. საინტერესოა, რომ აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში შერჩეული გვერდები არ არის განსაკუთრებულად ანტიდასავლური შინაარსის, რადგან ასეთი ვერ მოვიძიეთ. იგივე ეხება აჭარის რეგიონში შერჩეულ გვერდს. ესენი უფრო ადგილობრივ მედია საშუალებებს წარმოადგენენ.

შერჩეულ გვერდებზე/ჯგუფებში პოსტების შერჩევა რამდენიმე მიდგომით კეთდება. ქართულენოვანი გვერდების/ჯგუფების შემთხვევაში თითოეული გვერდიდან/ჯგუფიდან შეირჩევა უმეტესად მარტივი შემთხვევითი წესით მოხდა. გარდა ამისა, თითოეული ჯგუფისთვის/გვერდისთვის შერჩევაში მოხვდა 10 ყველაზე პოპულარული პოსტი.

მონიტორინგის პერიოდში 16 შერჩეული გვერდის/ჯგუფის სია ერთხელ შეიცვალა და ორი გვერდი ჩანაცვლდა სხვა მსგავსი შინაარსის გვერდებით, რადგან ერთი მათგანი დაიბლოკა თავად მეტას მიერ, ხოლო მეორემ შეწყვიტა პოსტების აქტიური გამოქვეყნება „ფეისბუქზე". ქვემოთ მოცემულია მონიტორინგისთვის შერჩეული გვერდების/ჯგუფების ჩამონათვალი:

№	ენა	ჯგუფი / გვერდი	ჯგუფის სახელი	მიმდევრების რაოდენობა
1	ქართული	გვერდი	ლიდერი 41	42,000
2	ქართული	გვერდი	ანტი-მაიდანი[3]	6,600
	ქართული	გვერდი	არ აგარევინებთ	20,000
3	ქართული	ჯგუფი	ბიძინა ივანიშვილი და მომავალი თაობა №oficial	20,100
4	ქართული	გვერდი	სირცხვილის კორიდორი[4]	56,000
	ქართული	გვერდი	შიგ ევროპაში	7,500
5	ქართული	გვერდი	Gogaggg	602,000
6	ქართული	გვერდი	პოლიტიკოსები 1 ლარიდან	26,000
7	ქართული	ჯგუფი	წმინდა მამები და მათი გამონათქვამები	36,000
8	ქართული	გვერდი	პატრიოტული გვერდი	46,000
9	ქართული	გვერდი	POSTV – ანალიტიკა	274,000
10	ქართული	გვერდი	News.mcvane.ge	152,000
11	სომხური	გვერდი	ფარვანა ტვ „ანარეკლი“	12,000
12	სომხური / რუსული	გვერდი	Джавахкская диаспора России	1,700
13	აჭარა	ჯგუფი	ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი ჯგუფი აჭარაში	2,000
14	აჭარა	გვერდი	გაზეთი აჭარა	5,800
15	აზერბაიჯანული	ჯგუფი	24News.ge	16,800
16	აზერბაიჯანული	გვერდი	Aktual.ge	34,000

პოსტების პირველადი გაფილტვრის შედეგად მათი ნაწილი სიღრმისეული შესწავლის საგანი ხდება. პოსტები კვლევისთვის რელევანტურად ითვლება თუკი:

- რაიმე სახით აჟღერებს ან ეხება ანტი-დასავლურ დისკურსს – აზიანებს / ეჭვქვეშ აყენებს / უარყოფითად წარმოაჩენს / აკრიტიკებს საქართველოს ევროინტეგრაციას, თავს ესხმის ევროინტეგრაციის მხარდამჭერ აქტორებს/პოლიტიკოსებს და მხარს უჭერს ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგე აქტორებს/პოლიტიკოსებს;
- ეხება ევროპას, აშშ-ს, დასავლეთს ან მათ წარმომადგენლებს;
- რაიმე სახით აჟღერებს პრო-რუსულ დისკურსს;
- ეხება პროდასავლურ/ანტირუსულ პროტესტს.

2025 წლის 1 ივნისიდან 28 ნოემბრის ჩათვლით სიღრმისეულად გაანალიზდა 1,756 პოსტი.

[3] 2025 წლის 22 თებერვლის შემდეგ გვერდი „ანტი-მაიდანი“ ჩანაცვლდა გვერდით „არ აგარევინებთ“, რადგანაც „ანტი-მაიდანი“ დაიბლოკა მეტას მიერ.

[4] 2025 წლის 22 თებერვლის შემდეგ გვერდი „სირცხვილის კორიდორი“ ჩანაცვლდა გვერდით „შიგ ევროპაში“, რადგანაც „სირცხვილის კორიდორმა“ შეწყვიტა აქტივობა.

შეზღუდვები

ამ კვლევას არ აქვს პრეტენზია იმაზე, რომ შეისწავლის სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მოქმედ ყველა ანტიდასავლური ჯგუფის/გვერდის შინაარსს. თუმცა, კვლევა აჩვენებს ძირითად სურათს. „ფეისბუქში“ პოსტები დინამიურია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა, პოსტის ტექსტი დარედაქტირდეს თავად ავტორის მიერ, ან დაიბლოკოს/შეიზღუდოს მეტას მიერ და გარკვეული პერიოდის შემდეგ ხელმისაწვდომი აღარ იყოს.